



ASODUR®-K900

საჭირო ხელსაწყოები

სისტემის შემადგენელი კომპონენტები:

- **კვარცული ქვიშა**
გაბნეული (მარცვლოვანი) და ნარევი ქვიშა
სხვადასხვა ზომის მარცვლებით



ASODUR®-K900

მაღალი დენადობის წებო
სინთეტიკური ფისების საფუძველზე

გამოყენების არეალი

ბეტონსა და მოჭიმვებზე
ნაწიბურებისა და ნაპრალების
საიმედოდ ამოვსება და ზედაპირის
უსწორმასწორობების მოსწორება.



ASODUR®-K900 (ასოდურ-კ900)
იდეალურია ბეტონსა და მოჭიმვებზე არსებულ
ნაწიბურებსა და ნაპრალებს
შორის შემკვრელის (წებოს) საიმედო შრის შესაქმნელად,
ასევე მოჭიმვებზე ჩადრმავებული ადგილების
ამოსავსებად და ქვიშისა და ბეტონის
უწესივრობების გამოსასწორებლად

ნაპრალების

თქვენი საბაზრო პარტნიორი:



SCHOMBURG

SCHOMBURG GmbH & Co. KG
Aquafinstraße 2 –8
D - 32760 დეტმოლდი (გერმანია)
ტელეფონი: + 49- 5231- 953 - 00
ფაქსი: + 49- 5231- 953 - 333
ელ.ფოსტა: email export@schomburg.de
ვებ-გვერდი: www.schomburg.de/en



SCHOMBURG

ASODUR-K900



უნივერსალური მოხმარების 2-კომპ. ეპოქსიდური ფისი

მახასიათებლები:

- სწრაფგამაგრებადი
- წყალ და ყინვაგამძლე
- შეკვრის მაღალი სიმტკიცე
- ქიმიური ზემოქმედების მიმართ გამძლე
- მარტივი შეფუთვა

ტექნიკური მონაცემები:

საფუძველი (ქიმ): 2-კომპ. ეპოქსიდური ფისი
ფერი: გამჭვირვალე მოყვითალო
სიბლანტე: დაახლ. 360 ± 50მპა
+23 °C-ზე

ნარევი კომპ.თანაფარდობა: 100:50 წილი წონის მიხედვით
არევის დრო: 3 წუთი
სიმკვრივე: 1.10 გ/სმ³

გამოყენების/ ზედაპირქვეშა ტემპერატურა: მინ. დაახლ. +8° C, მაქს. დაახლ. +35° C
გამოყენების დრო*: დაახლ. 15 წუთი +23° C-ზე

გამაგრების მინ. ტემპერატურა: +8 °C
დაფარვა: დაახლ. 4 საათის შემდეგ +23 °C-ზე
სრულად მაგრდება: დაახლ. 7 დღის შემდეგ +23 °C-ზე

შეფუთვა: 1 კგ შეკვრა, რომელიც ასევე მოიცავს მოჭიმვის კლიფსებს, ერთჯერად ხელთათმანებს & პლასტმასის მილს
გასუფთავება: კარგად გაწმინდეთ იარაღები გამოყენების დასრულებისთანავე AQUAFIN®-საწმენდით

შენახვა: 18 თვე გაუხსნელ ორიგინალურ შეფუთვაში, გრილ, მშრალ პირობებში +10 °C-ს ზემოთ

*) მაღალი ტემპერატურა ამცირებს, ხოლო დაბალი ზრდის რეაქციისა და გამაგრების დროს. უფრო მაღალ ტემპერატურაზე რეაქციის/გამოყენების დროის გასაზრდელად, შეინახეთ პროდუქტი გრილ გარემოში +10 °C ს-ზემოთ და თბილ ტემპერატურების ზემოქმედების ქვეშ ამყოფეთ მხოლოდ არევაზე ცოტა ხნით ადრე.

შენიშვნა:

გამოყენების შესახებ სრული ინსტრუქციებისთვის და პროდუქტის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ ამჟამად მოქმედი ტექნიკური მონაცემების ჩამონათვალი.

ნაპრალების ამოცემა

- ხერხით გაჭერით ნაწიბური ან ნაპრალი სიგრძეზე ზედაპირქვეშა სისქის 1/-დან 2/3 სიღრმემდე.
- ნაპრალის გასწვრივ დაახლ. ყოველ 30 სმ-ში გააკეთეთ 10 სმ სიგრძის გაჭრები მართი კუთხით.

- კარგად გასუფთავეთ ხერხით გაჭრილი ყველა ადგილი, მაგ. სამრეწველო მტვერსასრუტით.
- ფრთხილად გახსენით პაკეტის მესამე განყოფილება და ამოიღეთ ერთჯერადი ხელთათმანები და მოჭიმვის კლიფსები.



პაკეტში არსებული ნივთიერების არევა:

- მოხსენით დამცავი საკეტი და შავი გამყოფი ზოლი პაკეტის შუა ნაწილიდან, ისე რომ ნივთიერებები ერთმანეთს შეერიოს.
- ორივე კომპონენტი კარგად შეურიეთ ერთმანეთს, პაკეტის გულდასმით არევით.
- ყურადღება მიაქციეთ, რომ პაკეტი არ დაზიანდეს არევის დროს.

- ნახევრად ამოავსეთ მომზადებული ნაპრალი/ნაწიბური შერეული ნივთიერებით. თუ გადმოსასხმელი ყელი საკმარისად გრძელი არ არის, დასაგრძელებლად შეიძლება, გამოყენებული იქნას კომპლექტში შემავალი პოლიეთილენის სახელო.
- მოათავსეთ მოჭიმვის კლიფსები პერპენდიკულარულ ნაწიბურებში.

- შერეული ASODUR®-K900-ისა და კვარცული ქვიშის გამოყენებით მოამზადეთ წასაგლეხი მასა და გამოიყენეთ ის ნაპრალის ზედაპირის ამოსავსებად.
- მოაბნეთ კვარცული ქვიშა (მარცვლის ზომით 0.2-0.7მმ) ჯერ კიდევ გასაშრობ ნივთიერებაზე (მასაზე). გაშრობის შემდეგ, სრულად მოაცილეთ მიუმარგრებელი ქვიშის მარცვლები.

უსწორმასწორო ზედაპირის მოსწორება

- ზედაპირქვეშა შრე უნდა იყოს დატვირთვის მატარებელი და მშრალი, კარგად შეკუმშული და მასში არ უნდა იყოს ისეთი გამაცალკვებელი ნივთიერებები, როგორცაა ცხიმი, მტვერი, ზეთი, და სხვ.

- შეურიეთ ნივთიერება, როგორც ზემოთ არის აღწერილი და ზედაპირქვეშა შრეს წაუსვით ASODUR®-K900.
- შეურიეთ დარჩენილი ნივთიერება თანაბრად კვარცულ ქვიშას და წაუსვით ქაფით.
- მოაბნეთ კვარცული ქვიშა (მარცვლის ზომით 0.2-0.7მმ) ჯერ კიდევ გასაშრობ ნივთიერებაზე (მასაზე). გაშრობის შემდეგ, სრულად მოაცილეთ მიუმარგრებელი ქვიშის მარცვლები.

კვარცული ქვიშის მარცვლების ზომა განისაზღვრება სასურველი შესაქმნელი სისქის მიხედვით:

< 3მმ : 0,2 – 0,7მმ-ის კვარცული ქვიშა

3 – 15მმ : 0 – 1,5მმ-ის კვარცული ქვიშა

